


# Read for Real სამოქმედო სცენარი – შთაგონების და განხორციელების ნაბიჯების მაგალითებით

## 1. #READFORREAL ONLINE READING ALOUD ფესტივალის ორგანიზება

მიზანი: ხმამაღლა კითხვის პოპულარიზაცია საერთაშორისო დონეზე ხელმისაწვდომი ციფრული ვიდეო მასალების საშუალებით.

**როგორ გავაკეთოთ ეს:**

- ღონისძიება დაგეგმეთ ხმამაღლა კითხვის ეროვნული დღესთან ახლოს (მაგ., ნოემბერში).
- შექმენით ან შეაგროვეთ მოკლე, ხმამაღლა წასაკითხი ვიდეოები, რომლებშიც მონაწილეობენ ადგილობრივი ცნობილი სახეები, ავტორები, მასწავლებლები ან კითხვის მხარდამჭერები.
- მასალების გააზიარეთ ონლაინ (YouTube, სოციალური მედია, საგანმანათლებლო პლატფორმები).
- ითანამშრომლეთ Read for Real-ის სხვა ორგანიზაციებთან და პარტნიორებთან გამოცდილების გაცვლისა და ღონისძიებების ჯვარედინი პოპულარიზაციის მიზნით.

**ეფექტურობის მაგალითი:**
გერმანული ორგანიზაცია Stiftung Lesen 2020 წლიდან ატარებს ონლაინ კითხვის ფესტივალს, როგორც ციფრულ პასუხს პანდემიის შეზღუდვებზე. ფესტივალის ფარგლებში შეიქმნა 33-ზე მეტი ვიდეო, სადაც ცნობილი ადამიანებისა და ავტორების მიერ ხმამაღლა წაკითხული ლიტერატურაა წარმოდგენილი და რომლებმაც 1 მილიონზე მეტი ნახვა დააგროვა.

## 2. საზოგადო მოღვაწეების ჩართულობა და პოლიტიკური მფარველობა

**მიზანი**: კამპანიის პრესტიჟისა და მასშტაბის ამაღლება ხელისუფლებისა და საზოგადო მოღვაწეების მონაწილეობით.

**როგორ გავაკეთოთ ეს:**

- დაუკავშირდით ადგილობრივ ან ეროვნულ ლიდერებს (პრეზიდენტი, კულტურის მინისტრი, მერი).
- შესთავაზეთ მათ ღონისძიების სპონსორობა ან საჯაროდ წასაკითხ სესიებში მონაწილეობა.
- სიმბოლურ ადგილებში დააორგანიზეთ (მაგ., სახელმწიფო რეზიდენციები, საქალაქო დარბაზები) „ღია კარის დღეები“ ან შეხვედრები, რომლის დროსაც ხმამაღლა წაიკითხავენ ნაწერებს.
- დაამკვიდრეთ ხელისუფლების წარმომადგენლებთან და ცნობილ ადამიანებთან ყოველწლიური ხმამაღლა კითხვის ტრადიცია. სადაც წაიკითხავენ თავიანთ საყვარელი წიგნებს.

**ეფექტურობის მაგალითი:**
Stiftung Lesen-ს გერმანიის პრეზიდენტი 37 წელია მფარველობს. ყოველწლიურად, Schloss Bellevue-ში „ღია კარის დღის“ დროს, აწყობენ საჯარო კითხვას პრეზიდენტის, მისი მეუღლის, ცნობილი ადამიანებისა და ავტორების მონაწილეობით. ეს ღონისძიება მნიშვნელოვანი პრესტიჟითა და მედიის ყურადღებით სარგებლობს. ორგანიზატორები მოუწოდებენ Read. ForReal-ის პარტნიორებს, დაამყარონ მსგავსი ურთიერთობები თავიანთ ეროვნულ ხელისუფლებასთან და დანერგონ მსგავსი ტრადიციები.

პოლონეთში ეროვნული კითხვა მრავალი წლის განმავლობაში იმართება საპრეზიდენტო წყვილის პატრონაჟით.

## 3. წიგნის ბაზრობებისა და პროფესიული ღონისძიებების გამოყენება

**მიზანი**: #ReadForReal-ის პოპულარიზაცია პროფესიულ და საერთაშორისო ფორუმებზე.

**როგორ გავაკეთოთ ეს:**

- გაარკვიეთ თქვენს ქვეყანაში ყველაზე მნიშვნელოვანი წიგნის ბაზრობები და ლიტერატურული ღონისძიებები (მაგ., ფრანკფურტი, ბოლონია, ფესტივალები და ა.შ.).
- შესთავაზეთ შემქმნელების, გამომცემლების, წიგნის გამყიდველების, ბიბლიოთეკარების, მასწავლებლებისა და საერთაშორისო პარტნიორების

მონაწილეობით სადისკუსიო პანელების ან მასტერკლასების ორგანიზება.
or

- პანელის თემები შეიძლება მოიცავდეს შთაგონებას #ReadForReal-ის გარშემო: როგორ ჩავერთოთ, როგორ შეუძლია ამას წარმოუდგენლად გაააქტიუროს ადგილობრივი საზოგადოება, რამდენად მარტივია ეს სინამდვილეში.
- პოიწვიეთ პარტნიორები სხვა ქვეყნებიდან, დისტანციურად ან ადგილზე მონაწილეობის მისაღებად, რათა გაიზარდოს მასშტაბი და გამოცდილების გაზიარება.

**ეფექტურობის მაგალითი:**
Stiftung Lesen თანამშრომლობს გერმანიის მსხვილ წიგნის მაღაზიებთან და გამომცემლებთან ისეთ მნიშვნელოვან წიგნის ბაზრობებზე, როგორიცაა ფრანკფურტი, ვარშავა და პარიზი. ისინი აწყობენ პანელურ დისკუსიებს კითხვისა და კითხვის უნარების ხელშეწყობის შესახებ. ჩვენ ვიწვევთ Read.ForReal-ის პარტნიორებს, ჩაატარონ მსგავსი აქტივობები თავიანთ ბაზრობებსა და ფესტივალებზე, რათა გაზარდონ კამპანიის საერთაშორისო ხილვადობა.

## 4. სოციალური მედიის კამპანია წიგნის მაღაზიებისა და ცნობილი ადამიანების მონაწილეობით

**მიზანი**: თანამედროვე საკომუნიკაციო არხების მეშვეობით #ReadForReal-ში ბავშვებისა და ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა.

**როგორ გავაკეთოთ ეს:**

- დაამყარეთ თანამშრომლობა ადგილობრივ ან ეროვნულ წიგნის მაღაზიების ქსელებთან, რომლებსაც აქვთ სოციალური მედიის პროფილები, რომლებიც ახალგაზრდა აუდიტორიაზეა ორიენტირებული
- დაგეგმეთ #ReadForReal ღონისძიებების სერია ამ წიგნის მაღაზიებში.
- მოიწვიეთ პოპულარული ადამიანები (ცნობილი ადამიანები, ავტორები, ინფლუენსერები) Instagram-ზე, TikTok-ზე ან YouTube-ზე #ReadForReal შეხვედრების პოპულარიზაციის კამპანიაში მონაწილეობის მისაღებად.
- შექმენით მიმზიდველი კონტენტი: გამოწვევები, წიგნებიდან ამონარიდების კითხვა, ლიტერატურული ვიქტორინები, ლაივში კითხვა #ReadForReal ჰეშთეგით. მოიწვიეთ ბავშვები წიგნის მაღაზიებში ოფლაინ შეხვედრებში მონაწილეობის მისაღებად.
- მოიწვიეთ თქვენი აუდიტორია, მონაწილეობა მიიღოს და გააზიაროს თავისი კითხვის ჩანაწერები.

**ეფექტურობის მაგალითი:**
გერმანიაში, Stiftung Lesen თანამშრომლობს Hugendubel-თან, წიგნის მაღაზიების სიდიდით მეორე ქსელთან, რომელიც ბავშვებისთვის

განკუთვნილ Instagram გვერდს („kids insta account“) მართავს. კამპანიაში მონაწილეობენ სოციალურ მედიაში ხმამაღლა კითხვის პოპულარიზაციის ცნობილი სახეები და ავტორები. ეს პარტნიორობა წიგნის მაღაზიებს, ავტორებსა და მკითხველებს შორის ხიდებს ამყარებს, რაც აძლიერებს ჩართულობას და კამპანიის გავლენას.